შპს სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი
BROADCASTING COMPANY HERETI

0108, შიო ჩიტაძის ქ.N11, თბილისი,საქართველო
0108 Shio chitadze st 11 Tbilisi, Georgia
www.heretifm.com www.tbilisifm.ge www.citrusfm.live
Tel: +995 32 20 33 935

14.01.2026

კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, გიგზავნით შპს „სამაუწყებლო კომპანია ჰერეთის“ ყოველწლიური გამჭვირვალობის ანგარიშს

I. მაუწყებლობა

შპს „სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი“ ფლობს ოთხ რადიოსადგურს, რომელთაგან სამი კერძო საერთო მაუწყებლის ლიცენზიის მქონეა: B95, B201 და B175 ლიცენზიები.

კომპანიის მიერ განხორციელებული მაუწყებლობა მოიცავს შემდეგ რადიოსადგურებს:

- რადიო „ჰერეთი“ FM102.8 – კახეთის რეგიონში;
- რადიო „ციტრუსი“ FM97.3 – ბათუმში;
- რადიო „თბილისი“ FM93.5 – დედაქალაქში;
- RELAX WEB RADIO – ინტერნეტ რადიო.

II. თვითრეგულირება

შპს „სამაუწყებლო კომპანია ჰერეთში“ თვითრეგულირების მექანიზმი მოქმედებს 2009 წლიდან, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.
კომპანიაში ჩამოყალიბებულია დავების განმხილველი ორგანო ორი ინსტანციის სახით:

- პირველი ინსტანცია: თვითრეგულირების კომისია;
- მეორე ინსტანცია: სააპელაციო საბჭო.

დაინტერესებულ პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ რადიო „ჰერეთმა“ დაარღვია „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ დადგენილი ეთიკური სტანდარტები და მისი უფლებები, შეუძლია საჩივრით მიმართოს კომპანიის თვითრეგულირების ორგანოს მისამართზე:
0108, ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ. №11 (რადიო „თბილისის“ ოფისი)
ან ელექტრონულად: tbilisifm93.5@gmail.com
აღსანიშნავია, რომ 2025 წლის განმავლობაში კომპანიის თვითრეგულირების საბჭოში ასეთი სახის პრეტენზია არ შესულა.

სააპელაციო საბჭოს შემადგენლობა:

- ეკატერინე ციმაკურიძე – იურისტი
- ნანა დევიძე – ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ კახეთის ოფისის ხელმძღვანელი;
- ზვიად ფოჩხუა – „საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის“ პრეზიდენტი

თვითრეგულირების საბჭო საჩივრის შესვლის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის განხილვას არაუგვიანეს 10 დღის ვადაში და აქვეყნებს შესაბამის დასკვნას. დასკვნის გასაჩივრების შემთხვევაში, სააპელაციო საბჭო საჩივარს განიხილავს 1 კვირის ვადაში.

III. შინაგანაწესი

შპს „სამაუწყებლო კომპანია ჰერეთის“ ჟურნალისტები და რედაქცია საქმიანობაში ხელმძღვანელობენ პროფესიული ეთიკის მაღალი სტანდარტებით. კომპანიის პოლიტიკა შემდეგ პრინციპებს ეფუძნება:

- მაუწყებლობა და ყველა პუბლიკაცია (ინტერნეტით გავრცელებულის ჩათვლით) უნდა ემყარებოდეს დაზუსტებულ ფაქტებს;
- ინფორმაცია უნდა ეფუძნებოდეს მინიმუმ ორ დამოუკიდებელ წყაროს;
- არ გამოიყენება მასალა, რომელიც ეფუძნება ჭორს, მითქმა-მოთქმას ან დაუდასტურებელ ინფორმაციას;
- ფაქტობრივი შეცდომების შემთხვევაში, ისინი უმოკლეს ვადაში გამართლდება და გამოსწორდება;
- ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ფაქტების კონტექსტში, მიუკერძოებლად და ობიექტურად;
- საინფორმაციო სამსახური დამოუკიდებელია ნებისმიერი პოლიტიკური, კომერციული, რელიგიური ან სხვა დაინტერესებული ჯგუფის გავლენისგან;
- ახალი ამბები უნდა შეიცავდეს ზოგად ინფორმაციასა და განმარტებებს, რაც მსმენელს დაეხმარება სწორი ინტერპრეტაციისა და შედეგების გაანალიზებაში;
- საინფორმაციო რეპორტაჟებს არ უნდა ახლდეს პირადი მოსაზრებები, შეფასებები ან კომენტარები;
- მაუწყებლობა დაცულია მშვიდი, ზომიერი და პატივსაცემი ტონით;
- არ უნდა შეიცავდეს დისკრიმინაციულ, შეურაცხმყოფელ ან ძალადობის წამქეზებელ მასალებს;
- თანამშრომლებმა და მოწვეულმა ექსპერტებმა უნდა უზრუნველყონ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება;
- დაუშვებელია კომპანიის რეპუტაციის ან საჯარო სტატუსის ბოროტად გამოყენება პირადი ინტერესების სასარგებლოდ.

აღნიშნული სტანდარტები ვრცელდება ყველა რადიოსადგურსა და კომპანიის მიერ განხორციელებულ მაუწყებლობასა და ვებსაიტებზე:

- www.heretifm.com
- www.tbilisifm.ge
- www.citrusfm.live

IV. საკუთრების სტრუქტურა

შპს „სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი“ არის კერძო, დამოუკიდებელი კომპანია.
დამფუძნებლები და დირექტორები:

- რამაზ სამხარაძე (პ/ნ 01003000985) – დამფუძნებელი (100%) და დირექტორი;

კომპანიას არ ჰყავს სხვა წევრები, პარტნიორები, შემომწირველები ან გამგეობა. მისი მართვის ორგანოა პარტნიორთა კრება.

კომპანიის დამფუძნებლები, მათ შორის მათი ოჯახის წევრები:

- არ ფლობენ სხვა მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელის წილს ან აქციებს;
- არ ფლობენ პერიოდული ბეჭდითი გამოცემების ან საინფორმაციო სააგენტოების წილს;

- არ ფლობენ სხვა საწარმოებში წილს ან აქციებს.

კომპანია ასევე არ ფლობს:

- სხვა მაუწყებლობის ლიცენზიას(ებს), გარდა B95, B201 და B175 ლიცენზიებისა;
- სხვა მაუწყებლის საწესდებო კაპიტალში წილს ან აქციებს;
- პერიოდულ ბეჭდით გამოცემას;
- საინფორმაციო სააგენტოს.

კომპანიის შემოსავლების წყაროებია:

- რეკლამა;
- სპონსორობა;
- საეთერო დროის გაყიდვა;
- საინფორმაციო ხასიათის მომსახურება.

კომპანიის საეთერო ბადე და შესაბამისობის დეკლარაცია გამოქვეყნებულია ვებგვერდზე: www.heretifm.com (სექცია „ჩვენს შესახებ“) და წარდგენილია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში.

დამტკიცებულია:

შპს „სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი“

დირექტორი: რამაზ სამხარაძე

Ramaz Samkharadze 01003000985

Digitally signed by Ramaz Samkharadze
Date: 2026.01.14 16:41:14